NANO
SCHALIPRODUCT
LASER

I ტიპის შაქრიანი დიაბეტისას სისხლში გლუკოზის დონის ნორმალიზაციისთვის ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსის –

SCHALI® D-1

გამოყენების ინსტრუქცია

NANO SCHALIPRODUCT LASER

I ტიპის შაქრიანი დიაბეტისას სისხლში გლუკოზის დონის ნორმალიზაციისთვის ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსის – SCHALI® D-1 გამოყენების ინსტრუქცია

გამოშვების ფორმა:

მოხმარებისთვის მზა, დიეტური დანამატის ფხვნილი.

დანიშნულება:

ხელს უწყობს გლიკემიური ინდექსის ნორმალიზაციას. ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D1 ხელს უწყობს ორგანიზმში ინსულინის ნაკლებობის დაძლევას, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციონირების შენარჩუნებით და სისხლში გლუკოზის დონის ნორმალიზებით და შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც დამოუკიდებლად, ენდოკრინული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, ასევე კომპლექსური თერაპიის სახით ინსულინის უკმარისობასთან დაკავშირებული დაავადებების სამკურნალოდ (I ტიპის შაქრიანი დიაბეტი ან ინსულინდამოკიდებული დიაბეტი).

დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D1 ასევე რეკომენდებულია ჯანმრთელი, აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანებისთვის მათი სასიცოცხლო ძალების აქტივაციისა და ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებისთვის, ასევე ორგანიზმის დასაცავად ყოველდღიური სტრესისა და გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

შემადგენლობა:

ძირითადი აქტიური ინგრედიენტები:

- ციკლომალტო–ოქტოზა ან გამა–ციკლოდექსტრინი (γCD)
- ციკლომალტო–ჰექსაზა ან ალფა–ციკლოდექსტრინი (αCD)
- კურკუმინი

მოქმედების მექანიზმი:

ბიოკომპლექსის აქტიური ციკლოდექსტრინის ინგრედიენტები ადვილად იხლიჩება ადამიანის ამილაზას მიერ წრფივ ოქსო–საქარიდებად, მოქმედებს გლიკოგენის ფოსფორილოზის ინჰიბიტორების სახით, ზღუდავს ამილოლიტიკურ დაშლას, ძლიერად ახდენენ საკვების შემცველი ცხიმების, ცხიმოვანი მჟავების, ტრიგლიცერიდების იმობილიზაციას, აღადგენენ სისხლში შაქრის სათანადო დონის შენარჩუნებას, რაც ხელს უწყობს მის ანტიდიაბეტურ ზემოქმედებას. ციკლოდექსტრინების ღრუში ინკაფსულირებული კურკუმინი მიმართულად ასტიმულირებს კუჭქვეშა ჯირკვლის β–უჯრედებს ქსოვილების აღდგენისა და გლუკოზის მიმართ მგრძნობელობის დონის ამაღლებისკენ, რის შედეგადაც β–უჯრედი ათავისუფლებს უფრო მეტ ინსულინს სისხლში შაქრის შემცველობის ყოველ დონეზე, ასევე აძლიერებს დაცვით ფუნქციას ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, კიბოს საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, სოკოს საწინააღმდეგო, ართრიტის საწინააღმდეგო, ანტიამილოიდური და ანტიიშემიური თვისებებით. მოცემული ეფექტი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ტრანსკრიფციულ ფაქტორებს, ზრდის ფაქტორებს, ციტოკინების, პროტეინებისა და სხვა ენზიმების კინაზას ანთებას.

გარდა ამისა, ინკაფსულირებული დიეტური დანამატის ბიოკომპლექსი SCHALI®-D1:

- ახდენს ღვიძლის ფუნქციისა და სისხლში შაქრის მეტაბოლიზმის ნორმალიზაციას;
- აუმჯობესებს ღვიძლის უჯრედების მგრძნობელობას ინსულინის მიმართ, რაც ინსულშემცვლელი სამკურნალო საშუალებების დოზირების შემცირების საშუალებას იძლევა.
- ახდენს უზმოზე გლუკოზის დონის ნორმალიზაციას გლიკემიის მინიმალური რისკით;
- არეგულირებს კუჭ–ნაწლავის ტრაქტის მოტორიკასა და სეკრეციას;
- ახდენს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციას.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არაა გამოვლენილი, ვინაიდან ბიოკომპლექსის ინგრედიენტები ლოკალურად მოქმედებენ და

არ აღწევენ სისხლში, არ ურთიერთქმედებენ სამკურნალო საშუალებებთან. არ იწვევენ დამოკიდებულებას. არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

I ტიპის დიაბეტის მკურნალობისას SCHALI® სერიის ინკაფსულირებული ბიოკომპლექსებისა და ექიმის დანიშნული სამკურნალო საშუალებებისა და ინსულინის პარალელური კომპლექსური მიღებისას აუცილებელია დანიშნული სამკურნალო საშუალებების დოზირების კორექტირება ექიმის კონტროლის ქვეშ.

მიღების წესი:

ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და ნივთიერებათა ცვლის ჯანმრთელი ფუნქციონირების მხარდასაჭერად პროფილაქტიკური მიზნებისთვის რეკომენდებულია 1–2 გ პროდუქტის რეგულარული მიღება დღეში ერთხელ ჭამამდე 15 წუთით ადრე, წყლის მიყოლებით. მიღების კურსი შეადგენს 3 თვეს.

ენდოკრინული დაავადებების მწვავე ან ქრონიკული ფორმის შემთხვევაში, დიეტური დანამატის ბიოკომპლექსის –

SCHALI®-D1 მიღების დოზირება უნდა გაზარდოთ დღეში 3–მდე. ბიოკომპლექს

SCHALI®-D1 მიღებიდან პირველი 90 დღის განმავლობაში რეკომენდებულია ბიოკომპლექს SCHALI®–D3–ის დამატებითი მიღება დღეში 1–3–ჯერ.

ინკაფსულირებული ბიოკომპლექსი SCHALI®-D1 შეიძლება გამოიყენებოდეს კომპლექსურ თერაპიაში, ორგანიზმში ინსულინის უკმარისობასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაში.

ექიმის მიერ დანიშნული სამკურნალო საშუალებების შემცირება ბიოკომპლექს SCHALI®-D1–ის მიღების ფონზე, როგორც წესი, შეინიშნება კურსის დასაწყისიდანვე, მაგრამ არაუგვიანეს მიღების დაწყებიდან 30–45 დღისა.

დანიშნული სამკურნალო საშუალებების კორექცია უნდა განახორციელოს მხოლოდ მკურნალმა ექიმმა.

ვარგისიანობის ვადა და შენახვის პირობები:

ვარგისიანობის ვადა – 2 (ორი) წელი. შეინახეთ დაუზიანებელ შეფუთვაში არაუმეტეს +25°C ტემპერატურაზე.